

ქეთევან ნარინდოშვილი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

Middle East Technical University, Turkey

„Erasmus+ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი, მრავალფეროვანი და საინტერესო გამოცდილება იყო ჩემს ცხოვრებაში. უპირველესად, მაძლობა კავკასიის უნივერსიტეტს, რომ მომცა საშუალება ერთი სემესტრი გამეტარებინა თურქეთში, ახლო აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ვფიქრობ, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მთავარი ხიბლი არის ადამიანებთან ურთიერთობა. ერთი სემესტრის განმავლობაში გავიცანი ძალიან ბევრი სტუდენტი სხვადასხვა ქვეყნიდან, გავიგე მეტი მათი კულტურის შესახებ, ვიმოგზაურე მათთან ერთად თურქეთის სხვადასხვა ქალაქში და ის დაუვიწყარი ემოციები, რომლებიც ამ ურთიერთობებმა დამიტოვა, არის ყველაზე ღირებული ჩემთვის.

სრულიად მარტო წასვლა უცხო ქვეყანაში ძალიან ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული, თუმცა სწორედ ამ სირთულეების გადალახვა გეხმარება იმაში, რომ გახდე უფრო დამოუკიდებელი და თავდაჯერებული.

გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მოითხოვს ბევრ შრომას, რომელიც აუცილებლად ფასდება. ვთვლი, რომ ეს შესაძლებლობა აუცილებლად უნდა გამოიყენონ სტუდენტებმა, რომლებსაც სურთ ყველაზე ფერადი, საინტერესო და გამორჩეული როგორც აკადემიური, ასევე ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება.”